

დანართი N \_\_\_\_\_

თბილისი და რეგიონები  
აბონენტი \_\_\_\_\_

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

„აქციის“ დასახელება – თემატური პაკეტი "სილქ სპორტის" აქცია "სტანდარტ" ტვ პაკეტის აბონენტებისთვის

• აქციის პირობები:

დს/ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების ახალი და არსებული აბონენტებისათვის განისაზღვროს აქციის შემდეგი პირობები:

- 1.1. წინამდებარე აქციის ფარგლებში, სილქ ტვ-ის „სტანდარტ“ პაკეტის აბონენტებისთვის თემატური პაკეტი „სილქ სპორტის“ ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება 5 (ხუთი) ლარით;
- 1.2. აქციის პირობით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრეს 2016 წლის 2 მარტიდან 6 (ექვსი) თვის ვადით;
- 1.3. აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრეს აქციაში ჩართვის დღიდან 1 (ერთი) წლის ვადით;
- 1.4. აქციის ფარგლებში მომსახურების ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება 1.2. პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის პერიოდის დასრულებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადით. აღნიშნული პერიოდის დასრულების შემდეგ ინსტალაციის/აქტივაციის შემთხვევაში აქციით სარგებლობის შესაძლებლობა შეიზღუდება;
- 1.5. სილქ ტვ-ის „სტანდარტ“ პაკეტის აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ თემატური პაკეტით „სილქ სპორტი“, 1.1. პუნქტით განსაზღვრული ღირებულებით ისარგებლებენ იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე აქციის ძალაში შესვლის შემდეგ დააფიქსირებს მოთხოვნას თემატურ პაკეტ „სილქ სპორტზე“ აქციის პირობებით სარგებლობაზე;
- 1.6. აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდში, თუ აბონენტი დარეგისტრირდება აქციის პირობით და დარეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციამდე აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ იმავე ანგარიშზე დამატებით დარეგისტრირებს ერთ ან რამდენიმე მომსახურებას, აბონენტს აქციის პირობები შეუნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ მომსახურებების ინსტალაცია მოხდება აქციის პირობით ინსტალაციის ვადის ამოწურვამდე;
- 1.7. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება მომსახურების დროებით შეჩერების შესაძლებლობა. დროებით შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და აქციით გათვალისწინებული პირობებით სარგებლობის ვადა არ ექვემდებარება შეჩერება/ცვლილებას;
- 1.8. აქციის მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, აბონენტებს (გაუქმების მოთხოვნის არარსებობისას) შეუნარჩუნდებათ აქციის პირობით შერჩეული თემატური პაკეტი „სილქ სპორტი“ და მოხდება აღნიშნული პაკეტის სტანდარტული ღირებულების დარიცხვა;
- 1.9. იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობით რეგისტრაციის პერიოდში აბონენტი გააუქმებს/შეცვლის აქციის პირობით შერჩეულ თემატურ პაკეტ „სილქ სპორტს“, მას არ შეეზღუდება აქციის ფარგლებში მისი ხელშეორედ არჩევის შესაძლებლობა;
- 1.10. იმ შემთხვევაში, თუ აქციის ფარგლებში „სილქ სპორტით“ მოსარგებლე აბონენტი აქციის მოქმედების პერიოდში განახორციელებს „სტანდარტ“ პაკეტის ცვლილებას, ისე რომ შეინარჩუნებს თემატურ პაკეტ „სილქ სპორტს“, ცვლილების დღიდან, ავტომატურად მოხდება აღნიშნული თემატური პაკეტის სტანდარტული ღირებულების დარიცხვა;
- 1.11. ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, თუ აქციის რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, აქციის პირობებით სარგებლობის უფლების შენარჩუნების მიზნით, აბონენტი ვალდებულია თემატური პაკეტი „სილქ სპორტი“ თავიდან აირჩიოს (დაარეგისტრიროს) წინამდებარე აქციის პირობებით.
- 1.12. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი იმატებს ან სხვა მისამართზე გადააქვს სილქ ტვ მომსახურება, აქციის პირობებით სარგებლობის უფლების შენარჩუნების მიზნით, აბონენტი ვალდებულია თემატური პაკეტი „სილქ სპორტი“ თავიდან აირჩიოს (დაარეგისტრიროს) წინამდებარე აქციის პირობებით.
- 1.13. არ იზღუდება წინამდებარე აქციის პირობებითა და სხვა რომელიმე აქციის პირობებით ერთდროულად სარგებლობის შესაძლებლობა.

შენიშვნა: \_\_\_\_\_

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი \_\_\_\_\_

აბონენტი \_\_\_\_\_